1. **სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** პოლიტიკის მეცნიერება
Political Science

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
PhD in Political Science

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 180 ECTS

4. **პროგრამის ხელმძღვანელი:** პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

5. **სწავლების ენა:** ქართული

6. **სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

ა) პროგრამის მიზანი:

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს პოლიტიკის და პოლიტიკური სფეროს საკვანძო მომენტების გამოკვეთას და სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისათვის განსაკუთრებით აქტუალური საკითხების მეცნიერული კვლევისათვის; დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე ახალი ცოდნის და ინფორმაციის შექმნასა და გენერირებას.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამა ეფუძნება მოდულარულ სისტემას და მიზნად ისახავს დისციპლინის ცალკეული პრობლემური სფეროების გამოკვლევას.დარგში მიღებული ცოდნის გაღრმავებას; ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას; კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას. კურსდამთავრებულს უნდა შესწევდეს უნარი, კრიტიკულად გააანალიზოს დაგროვილი ცოდნა, შემოქმედებითად განავითაროს იგი და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

სადოქტორო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში ემსახურება ამ დარგში მკვლევარისა და აკადემიური სფეროს მომავალი სპეციალისტის მომზადებას, რომლესაც შესწევს ახალი ცოდნის გენერირება და თავისი სადოქტორო დისერტაციით ემსახურება ახალი ცოდნის შექმნას პოლიტიკურ მეცნიერებაში.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორანტის ინტელექტუალური პროფესიული და აკადემიური განვითარება, სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელის შეწყობა. სადოქტორო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში მიზნად ისახავს პოლიტიკის სფეროში სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას და მთავრდება პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

ბ) სწავლის შედეგი:

დოქტორს უნდა შეეძლოს: კვლევის შედეგად ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა; დაგროვილი ცოდნის შემოქმედებითი განვითარება; პოლიტიკური მეცნიერების სფეროს, მისი ისტორიისა და ძირითადი მიმართულებების გაგება კონცეპტუალურ და სისტემურ დონეზე; სოციალურ მეცნიერებათა სივრცეში პოლიტიკური მეცნიერების ადგილის განსაზღვრა; თანამშრომლობა სხვა დარგების წარმომადგენლებთან ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების პროცესში; ცოდნის ეფექტური და გასაგები ფორმით გადმოცემა; მას უნდა ესმოდეს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების ასპექტები და შეეძლოს როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

ცოდნა და გაცნობიერება

ფართო და მრავალფეროვანი თეორიული მიდგომების, საუნივერსიტეტო კურსებისა და სპეციალური სასწავლო კურსის შესწავლის საფუძველზე, დოქტორანტი ფლობს მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, პოლიტიკის სფეროს მეცნიერული ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს, აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა პოლიტიკის მეცნიერების ინტერდისციპლინურ ხასიათზე, იცნობს პოლიტიკის მეცნიერების არჩეული დარგის და მომიჯნავე სპეციალობის პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეძენილი სისტემური და სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე შეუძლია სრულფასოვნად ჩაერთოს პოლიტიკის მეცნიერების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიებში და აწარმოოს თეორიული ან გამოყენებითი კვლევა, რომელიც თვისებრივად გაამდიდრებს არსებულ ცოდნას ამ სფეროში. კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სრულყოფილი ცოდნა მას საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად წარმართოს ან უხელმძღვანელოს კვლევით პროექტს (პროექტებს). შეუძლია მრავალი სხვადასხვა პერსპექტივით საკითხების განხილვა, თითოეული მიდგომის საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი და შეფასება, რაც ხელს უწყობს კვლევის მეთოდოლოგიის სწორ და დასაბუთებულ შერჩევას, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას.

აქვს უნარი, დამოუკიდებლად შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური კვლევითი პროექტი, ან უხელმძღვანელოს საშუალო ან დიდ კვლევით ჯგუფს კვლევის ახალი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია თავად დაგეგმოს და თავისი უშუალო ხელმძღვანელობით განახორციელოს კომპლექსური კვლევითი პროექტის სრული ციკლი. აქვს კვლევითი პრობლემის შემცველი გარემოს სრულფასოვანი იდენტიფიცირების უნარი. შეუძლია აგრეთვე დიდი კვლევითი პროექტების მართვა.

დასკვნის უნარი

ფუნდამენტური და ემპირიული კვლევის პროცესში შეუძლია ჰიპოთეზის დასაბუთება ან უარყოფა, აქვს ახალი, ინოვაციური დასკვნების შემოთავაზების უნარი, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვს სამეცნიერო საზოგადოებაში. დოქტორანტს პოლიტიკის მეცნიერებაში აქვს ასევე კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების არგუმენტირებული დასაბუთების უნარი. აქვს არსებული პრობლემების ახლებური ახნის უნარი.

კომუნიკაციის უნარი
შეუძლია ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ახალი კვლევითი ინსტრუმენტების მოდელირება და ტესტირება, აქვს სამეცნიერო სტატიის წერის აკადემიური უნარ-ჩვევები, რაც აკმაყოფილებს რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების სტანდარტებს; პედაგოგიური პრაქტიკისა და კოლოქვიუმების საფუძველზე გამომუშავებული აქვს აუდიტორიასთან მუშაობის უნარი, რაც ეხმარება აკადემიურ და პროფესიულ წინსვლაში. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პოლიტიკის მეცნიერების თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი სიცოცხლის მანძილზე პროფესიული და აკადემიური კარიერის გაუმჯობესების პროცესში უნარიანია არსებული ცოდნის გაღრმავებისა და ახალი ცოდნის შემდგომი გენერირების მიზნით იზრუნოს პროფესიულ და აკადემიურ პროექტებსა და გრანტების დაფინანსების წყაროების მოძიებასა და შემდგომ განვითარებაზე.

ღირებულებები
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორს შესწევს უნარი დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებად და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით აწარმოოოს კვლევა და მათ საფუძველზე განსაზღვროს მათი მიღწევის ოპტიმალური საშუალებები.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური/წერითი
2. წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა
3. დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPT მასალების მეშვეობით)
4. ახსნა–განმარტებითი მეთოდი
5. დისკუსია/დებატები,
6. ჯგუფური მუშაობა
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
8. შემთხვევის ანალიზი (case-study)
9. გონებრივი იერიში (Brain storming)
10. როლური და სიტუაციური თამაშები
11. ელექტრონული სწავლება (ჰიბრიდული) - თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:
სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულის დასქმების პოტენციური სფეროებია უმაღლესი საგანმანათლებლო ან კვლევითი დაწესებულებები; საჯარო დაწესებულებები; არასამთავრობო სექტორი; საერთაშორისო ორგანიზაციები; კერძო სექტორი; მასმედია

7. **პროგრამაზე მიღების წინაპირობა:**
   - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა.
   - უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა (გამოცდა ან შესაბამისი სერტიფიკატი)
   - გამოცდა სპეციალობაში
   - გასაუბრება სპეციალობაში სადაც ასევე შეფასდება სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც წარმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი **(იხ. დანართი N1)**

8. **სასწავლო გეგმა:**

სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:

სადოქტორო პროგრამა მოიცავს **180 კრედიტს**. მათ შორის, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, კვლევით კომპონენტს – 140 კრედიტი.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები -არანაკლებ 15 კრედიტისა:

- პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
- სხვა სასწავლო კურსები 5-15 კრედიტი

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (140 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- I კოლოკვიუმი
- II კოლოკვიუმი
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 140 კრედიტი

კოლოკვიუმი I და II ფასდება ქულების გარეშე შემდეგნაირად:

summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი(შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;
მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;
შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.
შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

10. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

#	გვარი, სახელი,	აკადემიური თანამდებობა	ხარისხი
პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი			
1	მაცაბერიძე მალხაზ	პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
2	კუხიანიძე ალექსანდრე	პროფესორი	ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
3	დუნდუა სალომე	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
4	მაჭარაშვილი ნანა	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
5	ჟორჟოლიანი გია	ასოცირებული პროფესორი	ისტორიის მეცნიერების დოქტორი

მოწვეული პროფესორები			
6	პალ ტამაში	კომუნიკაციის პროფესორი (Professor of Communication)	სოციოლოგიის დოქტორი, სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, ბუდაპეშტი.
7	ჭანტურიძე ლაშა	ასოცირებული მკვლევარი (Research Associate)	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, უსაფრთხოების კვლევების ცენტრი, მანიტობას უნივერსიტეტი.
8	სტივენ ჰარისი	მოწვეული პერსონალი	საჯარო მმართველობის დოქტორი, ასისტენტ-მკვლევარი, საჯარო პოლიტიკის და მმართველობის სკოლა,

11. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

12. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

დანართი 1

განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:
სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა:

თარიღი: